ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1394936

ნომერი: AR1236825

თარიღი : 13.07.2014

გაცემის თარიღი : 18.07.2014

გაცნობის თარიღი : 18.07.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 78 ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ მერკვილაძე პ/ნ 61002010609
- თბილისი საირმის ქ. კორ. 11 ბ. 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნის ტექსტში აფიქსირებთ, რომ ხდება არსებულ ფართზე დროებითი (საძირკვლის არ მქონე) ნაგებობის განთავსება, აღნიშნული მაინც ვერ განიხილება, როგორც ცალკე მდგომი, რადგან მისი მოწყობა ხორციელდება არსებული შენობა/ნაგებობის სახურავზე, გამომდინარე აქედან აღნიშნული ცდება I კლასის მახასიათებლებს და მიეკუთვნება ისეთი კლასის რეკონსტრუქციას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან შენობა მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით, სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო ობიექტის განთავსება, როგორც ფუნქციური, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით არ მიაჩნია შესაძლებლად.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.